

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი

ქართველოლოგი

29



საგამომცემლო ინფორმაცია

ქართველოლოგია ფართო გაგებით ნიშნავს ქართული კულტურის, ისტორიისა და ქართულ სამყაროსთან დაკავშირებული ჰუმანიტარული სფეროს სხვა დარგის შესწავლას. ესენია: ენათმეცნიერება, ლიტერატურათმცოდნეობა, ხელოვნება, არქეოლოგია, ფოლკლორი, ეთნოგრაფია, წყაროთმცოდნეობა და სხვ.

ჟურნალი „ქართველოლოგი“ ორენოვანი (ქართული და ინგლისური), პროფესიული და აკადემიური ჟურნალია. ქართველოლოგიის დარგში მეცნიერული სიახლეების დანერგვასთან ერთად იგი მიზნად ისახავს ქართველ მკვლევართა ნარკვევების პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე და საზღვარგარეთული ქართველოლოგიური მეცნიერების გავრცელებას ქართულ სამეცნიერო წრეებში.

„ქართველოლოგი“ წელიწადში ერთხელ გამოდის როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული სახით. 1993-2009 წლებში იგი მხოლოდ ბეჭდურად გამოდიოდა (N1-15). გამომცემელია „ქართველოლოგიური სკოლის ცენტრი“ (თსუ), ფინანსური მხარდამჭერი – „ქართველოლოგიური სკოლის ფონდი“. ჟურნალის დამაარსებელია ელგუჯა ხინთიბიძე.

სარედაქციო კოლეგია:

ჟურნალის ირგვლივ შემოკრებილი უცხოელი ავტორები თავიანთ ქართველ კოლეგებთან ერთად არიან „ქართველოლოგის“ სარედაქციო კოლეგიის წევრები, აქტიური მონაწილეები ჟურნალის სამეცნიერო სტილისა და ფორმის ჩამოყალიბებაში, სამეცნიერო სტატიების ავტორები, ზოგიერთ შემთხვევაში გამოსაქვეყნებელი სტატიების რეცენზენტები და თავიანთ ქვეყნებსა და სამეცნიერო ცენტრებში ქართველოლოგიის პრობლემატიკის პოპულარიზატორები.

ბახტაძე მიხეილ (ისტორია) – საქართველო; ბეინენი ბერტ (რუსთველოლოგია) – აშშ; ბოედერი ვინფრიდ (ენათმეცნიერება) – გერმანია; დობორჯგინიძე ნინო (ენათმეცნიერება) – საქართველო; ენოხი რუვენ (ქართული ენა, ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობები) – ისრაელი; კოჯიმა იასუჰირო (ქართველური ენები) – იაპონია; კუდავა ბუბა (ხელნაწერთმცოდნეობა) – საქართველო; ლიჩელი ვახტანგ (არქეოლოგია) – საქართველო; მაგაროტო ლუიჯი (ქართული ლიტერატურა) – იტალია; მელიქიშვილი დამანა (ქართული ენა) – საქართველო; ნიკოლეიშვილი ავთანდილ (ქართული ლიტერატურა) – საქართველო; რატიანი ირმა (ლიტერატურათმცოდნეობა) – საქართველო; სიხარულიძე ქეთევან (ფოლკლორი) – საქართველო; ტიუიტი კევინ (ეთნოგრაფია და ფოლკლორი) – კანადა; უტიე ბერნარ (შუა საუკუნეების კვლევები) – საფრანგეთი; ფეინრიხი ჰაინც (ქართული ენათმეცნიერება) – გერმანია; შურაია გაგა (ქართული ლიტერატურა) – იტალია; ჩიხლაძე ნინო (ქართული ხელოვნების ისტორია) – საქართველო; ხოტივარი-იუნგერი შტეფი (ქართული ლიტერატურა) – გერმანია.

სამეცნიერო რედაქტორი: ელგუჯა ხინთიბიძე

ჟურნალის თითოეული ნომრის მომზადებას და გამოქვეყნებას ახორციელებს ჟურნალის სარედაქციო ჯგუფი:

მანანა რუსიშვილი – ინგლისური ტექსტის რედ.
თამარ მელიქიძე – ტექსტის რედ.
სოფიო გულიაშვილი – ქართული ტექსტის რედ.

ცირა ვარდოსანიძე – კორექტორი
კონსტანტინე ლომიძე – კორექტორი
ირმა მაკარაძე – ქართული ტექსტის რედ.

ჟურნალის სარედაქციო საბჭო, საგამომცემლო ჯგუფი და რეცენზენტები ზოგიერთ შემთხვევაში არ იზიარებენ გამოქვეყნებული სტატიების სტილისტურ თავისებურებებს და მათში გამოთქმულ თვალსაზრისებს.

© ქართველოლოგი
ქართველოლოგიური სკოლის ფონდი
13, ჭავჭავაძის გამზირი, თსუ
0179, თბილისი, საქართველო
ელფოსტა: kartvcentre@hotmail.com;
kartvelologist@gmail.com
ვებგვერდი: kartvelologi.tsu.ge;
kartvelologi.openjournal.ge

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2023
ISSN 1512-1186

კვლევები: რუსთველოლოგია

ვეფხისტყაოსნის სიმბოლისტური რეცეფციის ერთი შემთხვევა¹

კოტე ლომიძე

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტი

რეზიუმე: ვალერიან გაფრინდაშვილის თეორიული თვალსაზრისების რეკონსტრუქციისა და პოეტური ნაწარმოებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ვ. გაფრინდაშვილს განზრახული აქვს რუსთაველის მითის შექმნა. იგი რუსთველის შემოქმედებას რთავს საერთო მოდერნისტულ ნარატივში. „ვეფხისტყაოსანს“ გაიაზრებს ნიცშეს მიერ შემოთავაზებული შემოქმედების ორი საწყისის მიხედვით და პოემას აპოლონურ ნაწარმოებად რიგს მიაკუთვნებს.

პოეტი სარაინდო რომანებზე ალუზიით ავთანდილს კურტუაზული რომანების გმირს უკავშირებს (ყოველ შემთხვევაში, ლექსის განწყობა და კონტექსტი ამგვარ ინტერპრეტაციას თავისუფლად იგუებს). ორიგინალურია ავთანდილის სახის რეცეფცია – მკითხველის ცნობიერებაში მეგობრისათვის თავდადებულ რაინდად დამკვიდრებული ავთანდილი „წვიმის სპექტაკლში“ მიჯნურის სახედაა გააზრებული.

საკვანძო სიტყვები: „ვეფხისტყაოსანი“; ვალერიან გაფრინდაშვილი; რეცეფცია; აპოლონური და დიონისური

¹ კვლევა (PHDF-21-914) განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით.

მხატვრული ტექსტის აღქმასა და ინტერპრეტაციაზე უამრავი ფაქტორი ახდენს ზეგავლენას. კონკრეტული ეპოქის ფასეულობები, ესთეტიკური ღირებულებები, იდეალები თუ მისწრაფებანი ნაწარმოების განსხვავებულ გააზრებას განაპირობებს. უაღრესად საინტერესოა ამ კუთხით დაკვირვება იმგვარ ტექსტზე, რომელიც საუკუნეებია მონაწილეობს ლიტერატურულ პროცესში. ქართული კულტურის ისტორიაში კი ამგვარი ნაწარმოების საუკეთესო ნიმუში, რასაკვირველია, არის რუსთველის “ვეფხისტყაოსანი”.

რა მიზანი შეიძლება ჰქონდეს ამ ტიპის ძიებას? გარდა იმისა, რომ ამგვარი კვლევა გამოავლენს შესასწავლი ნაწარმოების ზეგავლენის ხარისხს მწერლობაზე და ნათელს მოჰფენს განსახილველი ნაწარმოების როლს ცალკეულ ავტორთა შემოქმედებასა თუ, ზოგადად, ლიტერატურის ისტორიაში, კვლევა საყურადღებოა იმიტაც, რომ შესაძლებლობა მოგვეცემა, დავაკვირდეთ, რა გავლენას ახდენს გარემო ტექსტის ინტერპრეტაციაზე და რა განაპირობებს ერთი ნაწარმოების განსხვავებულ წაკითხვას სხვადასხვა ეპოქაში. ამგვარი დაკვირვება კი, ფაქტობრივად, სხვადასხვა ეპოქის იდეურ-მსოფლმხედველობრივ, ესთეტიკურ თუ ეთიკურ ღირებულებებზე დაკვირვებასაც გულისხმობს, რაც ქართული აზროვნების ისტორიის თვალის გადევნების შესაძლებლობასაც იძლევა.

რუსთველის პოემის პირველ ინტერპრეტაციებს ვხვდებით “ვეფხისტყაოსნის” გაგრძელებებში. როგორც რუსთველოლოგიურ ლიტერატურაშია მითითებული, “გამგრძელებელი არაა ყალბისმქმნელი და საგანგებოდ არ ცდილობს რუსთველისად გაასაღოს თავისი ნასაქმი, იგი ინარჩუნებს საკუთარ სამყაროს” [6, გვ. 77]. მაგალითად, ინტერპოლატორისათვის უცხოა ცენტრალიზებული მონარქიის იდეა, რაც რუსთველისათვის, პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივი იყო (ე. ხინთიბიძე). მაშასადამე, ინტერპოლატორი საკუთარი ეპოქის ესთეტიკის კვალობაზე გაიაზრებს პოემის ტექსტს. ამდენად, ჩვენთვის ცნობილ “ვეფხისტყაოსნის” პირველ რეცეფციად შეიძლება მივიჩნიოთ რუსთველის პოემის გაგრძელებები. ამ მხრივ “ვეფხისტყაოსანს” არც შემდგომ ხანებში მოჰკლებია ყურადღება. ე. წ. აღორძინების ეპოქაში რუსთველის პოემის არაერთ რეცეფციას შევხვდებით – იქნება ეს არჩილ მეფის თეორიული შეხედულებები სპარსოფილური ტენდენციების დასაძლევად თუ ვახტანგ მეექვსის მიერ პოემის ქრისტიანული ეგზეგეზა, რაც იყო “ვეფხისტყაოსნის” დაცვის მცდელობა კლერიკალთა გარკვეული წრისაგან.

ყველა ეპოქისა თუ მნიშვნელოვანი ავტორის მიერ რუსთველის პოემის მეტ-ნაკლებად ორიგინალური რეცეფციის ანალიზს სჭირდება ხანგრძლივი

კვლევა-ძიება. მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო მოდერნიზმის ეპოქაზე, რომელიც უაღრესად რთულია და ხასიათდება სულიერი ძიებებითა და მსოფლმხედველობრივი გარდატეხებით, რაც, რა თქმა უნდა, აისახა კიდევ მოდერნისტ ავტორთა მიერ კლასიკური ტექსტების რეცეფციაში.

წინამორბედთაგან სრულიად განსხვავდება მოდერნისტ პოეტთა დამოკიდებულება რუსთველის პოემისადმი. ცისფერყანწელები წარსულისადმი კრიტიკულ მიმართებას ამჟღავნებენ და მკვეთრად უპირისპირდებიან წინა თაობის შემოქმედებს. არცთუ იშვიათად უარყოფით პოზიციას გამოხატავენ როგორც ქართველი, ისე უცხოელი კლასიკოსების მიმართ. ამ ყოველივეზე მეტყველებს მათი არა მხოლოდ პოეტური მემკვიდრეობა, არამედ ლიტერატურული მანიფესტები და წერილები. ამ ფონზე განსაკუთრებით საყურადღებოა ის ინტერესი “ვეფხისტყაოსნის” მიმართ, რაც მათ გამოიჩინეს.

რუსთველის პოემა ცისფერყანწელთა არაერთი ლექსის დაწერის იმპულსად ქცეულა, ასევე, მრავლადაა “ვეფხისტყაოსანზე” რეფლექსია მათ ლიტერატურულ წერილებში. ვალერიან გაფრინდაშვილი, ცისფერყანწელი პოეტი და სიმბოლიზმის თეორეტიკოსი, ესეში “დავით გურამიშვილი” აცხადებს: “თანამედროვე პოეზია უბრუნდება წარსულს” [2, გვ. 16]. წარსულში კი მას ეგულება უპირველესად რუსთველი, რომელთან მიახლოებაც არაა მარტივი: “რუსთაველი ჩვენთვის არის დაკეტილი სასახლე, ამ სასახლეს გაუგებარი სიტყვები სდარაჯობენ, როგორც ღომები” [2, გვ. 10]. “ვეფხისტყაოსნის” რეცეფცია ცისფერყანწელთა შემოქმედებაში ვრცელი საკითხია. ვალერიან გაფრინდაშვილის კონცეფციის ანალიზით შევეცდები პრობლემასთან მიახლოებას და ერთი ლექსის მაგალითზე განვიხილავ “ვეფხისტყაოსნის” მოდერნისტული რეცეფციის ზოგიერთ ასპექტს.

სანამ საკითხის განხილვაზე გადავალ, საჭიროდ მიმაჩნია ორიოდ სიტყვით იმის შეხსენება, რომ ვ. გაფრინდაშვილი, გარდა სიმბოლისტი პოეტისა, არის სიმბოლიზმის თეორეტიკოსი და მის წერილებსა თუ დეკლარაციებში გამოთქმული მოსაზრებებით შეგვიძლია პოეტის ესთეტიკური შეხედულებებისა თუ პოეტური კონცეფციის რეკონსტრუქცია, რაც, თავის მხრივ, საყურადღებოა მისი პოეტური ტექსტების შესწავლისას, რადგან თეორეტიკოსი ვ. გაფრინდაშვილის შეხედულებები მინიშნების პოეტიკით ასახვას პოეზებს პოეტ ვ. გაფრინდაშვილის ლექსებში. ამდენად, ჩემი წერილის მიზანს ამგვარი კომპლექსური ანალიზის მცდელობა წარმოადგენს.

ვ. გაფრინდაშვილის მიზანია “წარსულის დაბრუნება”, ხოლო ეს მნიშვნელოვანი მისია, მისი აზრით, მწერლობამ უნდა შეასრულოს. “იწყება ქართულ

პოეზიაში რუსთაველის და ძველი პოეტების რენესანსი“, რაც წარსულის დაბრუნების გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს. “წარსულის დაბრუნებან ვ. გაფრინდაშვილისათვის, ჩემი აზრით, უპირატესად სწორედ რუსთაველის დაბრუნებას გულისხმობს. ამაში მოიაზრება როგორც საკუთრივ ტექსტთან მიახლოება, ასევე რუსთაველის შემოქმედების სიმბოლისტურ მითოსში ჩართვა, ევროპელ მოდერნისტთა და სიმბოლისტურ სახეთა მსგავსად “ვეფხისტყაოსნის” სამყაროს – რუსთაველის პოემის პერსონაჟების, ტოპონიმებისა თუ სხვა რეალიების – საერთო მოდერნისტულ მითოპოეტურ სამყაროში სრულფასოვანი მონაწილეობა. სწორედ ამიტომ ვ. გაფრინდაშვილი ცდილობს საკუთარ პოეზიაში განახორციელოს თეზისი, რომელიც შემდეგნაირადაა ფორმულირებული 1922 წლით დათარიღებულ წერილში “დეკლარაცია (ახალი მითოლოგია)” – “ქართულმა პოეზიამ უნდა შექმნას რუსთაველის მითი” [3, გვ. 12]. მაია ჯალიაშვილის მართებული აღნიშვნით, “ცისფერყანწელების მიერ შექმნილ “ახალ მითოლოგიაში” რუსთაველს უპირველესი ადგილი ეკავა” [7, გვ. 347].

1918 წლით დათარიღებული ლექსი “წვიმის სპექტაკლი” ლირიკული გმირის “წვიმის ქსოვილით” აღფრთოვანებით იწყება. ავდრის მიუხედავად, პოეტის წარმოსახული სურათი მკითხველს პოზიტიურ მოლოდინს უჩენს – “თითქოს ასული ლამაზი და ფრთადათოვლილი, // უცდის ღიმილით ამ ავდარში თავის ავთანდილს“, მაგრამ ეს მშვენიერი სურათი დიდხანს ვერ გაიტაცებს სხვა ოცნებით შეწუხებულ ლირიკულ გმირს და განწყობის ცვლილებას მოსდევს სიზმარეული სვლა “ძველი მგოსნებისა“, რომელთა მიმართაც ზეცა შეუბრალებელია:

“წინ მიდის, როგორც მეფე ლირი თვითონ ვერლენი
და იმას უკან მიჰყვებიან განწირულები
რემბო, როლინა, კორბიერი, პაოლო ჩვენი,
და ყოველ ცეცხლით არ იწვიან მათი გულები“

[5, გვ. 72]

მათ, ლექსის ექსპოზიციაში წარმოსახული ავთანდილისგან განსხვავებით, “არა ჰყავთ გვერდში მოძიბლავი მანდილოსნები“, აღნიშნული ფრაზა მცირედი ცვლილებით კვლავ მეორდება ტექსტში და ფაქტობრივად რეფრენის ფუნქციას ასრულებს, რაც მკითხველს აიძულებს მეტი ყურადღება დაუთმოს დასახელებულ ტაეპს. მართლაც, ზემოხსენებული სტრიქონების ვარიაცია – “არა ჰყავთ გვერდში ტურნირების მანდილოსნები” – ლირიკული გმირის ესთე-

ტიკური პოზიციის დაზუსტებაში გვეხმარება და, ჩემი აზრით, ამ განმეორების მეშვეობით მეტ სიცხადეს იძენს პირველ სტროფში გაელვებული ავთანდილის მხატვრული სახეც. “ტურნირების მანდილოსნები”, ვფიქრობ, ალუზიაა სარაინდო რომანებზე. ტიპური კურტუაზულ რომანის პროტაგონისტია დედოფალსა თუ დიდგვაროვან ქალბატონზე გამიჯნურებული რაინდი. ქალი ხშირ შემთხვევაში ესწრება კიდევ სარაინდო ტურნირს და რაინდი მას უძღვნის ასპარეზობაში მიღწეულ წარმატებას.

რას შეიძლება გულისხმობდეს საანალიზო ლექსში, ერთი მხრივ, კურტუაზულ რომანის ალუზია და, მეორე მხრივ, ასევე შუა საუკუნეების რაინდული რომანის² გმირის – ავთანდილის – სახის გაელვება და რა მიმართებას ამყარებენ დასახელებული მხატვრული სახეები ლექსში მოხსენიებულ მოდერნისტ ავტორებთან?

1922 წლით დათარიღებულ წერილში “ორი სტიქია” ვ. გაფრინდაშვილს მოჰყავს ამგვარი ანალოგია: “არიან ბედნიერი და დაწყევლილი პოეტები პოეზიაში ისე, როგორც ბუნებაში არის ორი სტიქია, ორი საწყისი – აპოლონიური და დიონისიური” [4, გვ. 1]. ჩემი აზრით, სწორედ ნიცშესეული დიქტომიის კონტრასტია “წვიმის სპექტაკლში” წარმოჩენილი. ერთი მხრივ, შუასაუკუნეების ლიტერატურის სამყარო, რომელიც დასახელებულ ტექსტში აპოლონურ საწყისს აღნიშნავს და, მეორე მხრივ, დიონისური საწყისის გამომხატველი დაწყევლილი პოეტების მსვლელობა. ჩემს მოსაზრებას ამყარებს შემდეგი სტრიქონები “ორი სტიქიიდან”: “კოსმოსის ზედაპირი ნათელია და მშვენიერი. არიან პოეტები, როგორც პუშკინი, რუსთაველი, რომელნიც გვიჩვენებენ ამ ზედაპირს, გვაბრძავენ სხივებით და სიხარულით ათრთოლებენ ჩვენს ცქერას. ეს არის პოეზიის აპოლონიური სახე” [4, გვ. 1]. ამის საწინააღმდეგოდ, დაწყევლილი პოეტები, “განწირული რაინდები”, როგორც ვ. გაფრინდაშვილი უწოდებს მათ ამავე სტატიის, არიან საანალიზო ლექსში დასახელებული პოეტები – ვერლენი, რემბო, როლლინა, კორბიერი. საყურადღებოდ მიმაჩნია თეორიულ წერილში მათი მოხსენიება რაინდებად, რადგან ამ გარემოებით ხაზი ესმება ჩემ მიერ განმარტებული მხატვრული სახის – “ტურნირების მანდილოსნები” – შუასაუკუნეების სარაინდო რომანებთან დაკავშირების მართებულობას. ზოგადად არაა უცხო მოდერნისტთათვის სათაყვანო სახელების რაინდებად

² რასაკვირველია, რუსთაველის პოემა შუასაუკუნეების სარაინდო რომანის ტიპურ ნიმუშს არ წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით იხ. მ. ელბაქიძის „ვეფხისტყაოსნის ჟანრის განსაზღვრისათვის”: სჯანი, VIII, 2007.

წარმოსახვა. მაგ., ვ. გაფრინდაშვილი “ფრაგმენტებში” რაინდებად იხსენიებს ბოდლერსა და ლოტრეამონს. “წვიმის სპექტაკლში” ნახსენები “ცა დაბურვილი”, რომელიც, ჩემი აზრით, სიმბოლისტური მარკერია, უპირისპირდება კოსმოსის ნათელ და მშვენიერ ზედაპირს, ხოლო რუსთველი სწორედ ის შემოქმედია, რომელიც, ვ. გაფრინდაშვილის სიტყვებით, კოსმოსის ნათელ ზედაპირს გვიჩვენებს.

გარდა ამისა, ვფიქრობ, ავთანდილად წარმოსახული პერსონაჟი, რომელსაც “წვიმაში უცდიან”, ღირიკული გმირის ცნობიერებაში ერთგვარად უკავშირდება შუასაუკუნეების რომანის რაინდს, ხოლო მასთან კონტრასტს ქმნიან დაწყევლილი პოეტები, რომელთაც “არა ჰყავთ გვერდში ტურნირების მანდილოსნები”. ამგვარი დასკვნის გაკეთების საფუძველს მაძლევს, ერთი მხრივ, ზემოთ განხილული ალუზია და, მეორე მხრივ, ვ. გაფრინდაშვილის, როგორც სიმბოლიზმის თეორეტიკოსის, შეხედულება რუსთველზე. ავთანდილის სახის ამგვარი გააზრებაც სიახლეს წარმოადგენს ლექსის დაწერის დროს. ზოგადად, ავთანდილის დაკავშირებას დასავლურ სარაინდო რომანთან არათუ მხატვრულ შემოქმედებაში, რუსთველის შემსწავლელ მეცნიერებაშიც გვიან ვხვდებით³. რასაკვირველია, წარმოჩენილი კავშირი მინიმუმითაა გამოხატული, როგორც ზოგადად მხატვრულ შემოქმედებას, და კერძოდ, სიმბოლისტურ პოეტიკას, ახასიათებს.

ლექსში გვხვდება ავთანდილის სახის ტრადიციულისაგან განსხვავებული რეცეფცია. ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ მოცემულ ტექსტში ავთანდილი მიჯნურის სახეა, რაც განსხვავებულია მისი სახის ტრადიციული გააზრებისაგან. მიუხედავად იმისა, რომ “ვეფხისტყაოსნის” დასაწყისშივე ვეცნობით შეყვარებულ ავთანდილს (“მას თინათინის შვენება ჰკლვიდის წამწამთა ჯარისა”), იგი მაინც მეგობრისათვის თავგანწირულ რაინდად არის დამკვიდრებული მკითხველის ცნობიერებაში, ხოლო მიჯნურის ტიპური სახე რუსთველის პოემაში, ისევე, როგორც მკითხველის წარმოდგენაში, არის ტარიელი. ეს ლოგიკურიცაა, რადგან ავთანდილის სიყვარულს საფრთხე არ ემუქრება და ამდენად მის მხატვრული სახის ეს ასპექტი მკითხველის ცნობიერებაში ერთგვარად იჩრდილება. “ვეფხისტყაოსნის” გმირთა ტრადიციული რეცეფციის საილუსტრაციოდ, ჩემი აზრით, კარგი მაგალითია აკა მორჩილაძის ფრაზა ტექსტიდან “მეფე და მე”: “ამ მოგონილ ქვეყანას არაფერი სცხია ვეფხისტყაოსნის... ამ

³ იხ. ე. ხინთიბიძის „ავთანდილი და ლანსელოტი“: ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო, თბილისი, 2009, გვ 582-613.

ქვეყანას მოუკლეს ავთანდილები, მეგობრის დასახმარებლად წასული ბიჭები, ამ ქვეყანას მოუკლეს ტარიელები, მართლა შეყვარებული ბიჭები“ [1, B5]. როგორც დავინახეთ, თანამედროვე მწერალი მეტაფორად აქცევს ქართველ მკითხველთა მიერ გაზიარებულ თვალსაზრისს “ვეფხისტყაოსნის” გმირებზე. ავთანდილის სახის ტრადიციულისაგან განსხვავებული რეცეფცია შემთხვევითი რომ არაა ვ. გაფრინდაშვილის ლექსში, ჩანს იქიდანაც, რომ 1919 წლით დათარიღებულ ტექსტში “წვიმის პროფილი” კვლავ ჩნდება ავთანდილის სახე:

“და თუ შევიქენ მე – ავთანდილი,
მის მორჩილ ხელებს დავეუფლები.”

[5, გვ. 80]

ავთანდილობა აქაც მიჯნურობის სახეა. საგულისხმოა, რომ ამ ლექსის სათაურშიც წვიმა ფიგურირებს და განწყობითაც ენათესავება ზემოთ განხილულ ტექსტს. კერძოდ, ავტორი კონტრასტის მეშვეობით ხატავს უსიხარულო რეალობასა და სასურველ პერსპექტივას, ხოლო ამ დაპირისპირებაში ავთანდილი ასოცირებულია სინათლესთან, მშვენიერებასა და ჰარმონიასთან.

მოკლედ რომ შევაჯამო, ვალერიან გაფრინდაშვილის თეორიული თვალსაზრისების რეკონსტრუქციისა და პოეტური ნაწარმოებების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ ვ. გაფრინდაშვილს განზრახული აქვს რუსთაველის მითის შექმნა. იგი რუსთაველის შემოქმედებას რთავს საერთო მოდერნისტულ ნარატივში. “ვეფხისტყაოსანს” გაიაზრებს ნიცშეს მიერ შემოთავაზებული შემოქმედების ორი საწყისის მიხედვით და პოემას აპოლონურ ნაწარმოებად რიგს მიაკუთვნებს. პოეტი სარაინდო რომანებზე ალუზიით ავთანდილს კურტუაზული რომანების გმირს უკავშირებს (ყოველ შემთხვევაში, ლექსის განწყობა და კონტექსტი ამგვარ ინტერპრეტაციას თავისუფლად იგუებს). ორიგინალურია ავთანდილის სახის რეცეფცია – მკითხველის ცნობიერებაში მეგობრისათვის თავდადებულ რაინდად დამკვიდრებული ავთანდილი “წვიმის სპექტაკლში” მიჯნურის სახედაა გააზრებული.

ბიბლიოგრაფია

1. აკა მორჩილაძე, *მეფე და მე (ავტობიოგრაფიის ნაწყვეტი)*: გაზ. "24 საათი", N298, გვ. B5.
2. გაფრინდაშვილი, ვ., *დავით გურამიშვილი (პარალელები)*: ჟურნ. "მეოცნებე ნიამორები", N4, 1920, გვ. 10-16.
3. გაფრინდაშვილი, ვ., *დავით გურამიშვილი (პარალელები)*: ჟურნ. "მეოცნებე ნიამორები", N7, 1922, გვ. 9-12.
4. გაფრინდაშვილი, ვ., *ორი სტიქია*: გაზ. "ბახტრიონი", N4, 1922, გვ. 1.
5. გაფრინდაშვილი, ვ., *ლექსები, პოემები, თარგმანები, ესსეები, წერილები, მწერლის არქივიდან*, "მერანი", თბილისი, 1990.
6. ხინთიბიძე, ე., *ვეფხისტყაოსნის იდეურ-მსოფლმხედველობითი სამყარო*, "ქართველოლოგი", თბილისი, 2009.
7. ჯალიაშვილი, მ., *რუსთაველის პოეტიკის რენესანსი ცისფერყანწელთა პოეზიაში*: "VI საერთაშ. სიმპოზიუმი, ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები", შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2012, გვ. 344-350.